შეცდომა, რომელიც შედეგზე აისახება!

ავტორი: თეიკო ანჯაფარიძე

რომელია რეგისტრაციის დროს დაშვებული ყველაზე ხშირი შეცდომა? – ამ კითხვაზე პასუხი, რეგისტრაციის დაწყებამდე მედიის წარმომადგენლებს, ხოლო დაშვებული შეცდომის შემდეგ უკვე აბიტურიენტებსა და მათ გულშემატკივრებს აინტერესებთ. თურმე არსებობს შეცდომების ნუსხა, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზის ოპერატორებთან გასაუბრების შემდეგ შევადგინეთ. ოპერატორები პირველები არიან, ვისაც აპლიკანტები პრობლემის გაჩენის შემთხვევაში უკავშირდებიან. ჩვენი სია ასე გამოიყურება:





რა ავიწყდებათ ყველაზე ხშირად აბიტურიენტებს?

1. სტატუსის მითითება. (ვსწავლობ, ექსტერნი, დავამთავრე);
2. საგნის სასურველ ენაზე ჩაბარების მონიშვნა;
3. საგამოცდო ქალაქის მითითება;
4. მოქალაქეობის მითითება;
5. შემოქმედებითი ტურის არჩევა (თუ საგანმანათლებლო პროგრამა ითხოვს).

რა ავიწყდებათ ყველაზე ხშირად მაგისტრობის კანდიდატებს?

1. საგამოცდო ქალაქის მითითება;
2. შესაბამისი ტიპის ტესტის არჩევა;
3. სასურველ ენაზე ჩაბარების მონიშვნა;
4. ბარათის აღების ადგილის მითითება.

რა ავიწყდებათ ყველაზე ხშირად პედაგოგებს?

1. საგამოცდო ქალაქის მითითება;
2. ბარათის აღების ადგილის მითითება.

რეგისტრაცია ყველა აპლიკანტისათვის თითქმის ერთდროულად ცხადდება და ერთი თვე გრძელდება. თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია სახლიდან გაუსვლელად შეგიძლიათ მიიღოთ ცენტრის ფეისბუკის, რამდენიმე ელექტრონული ფოსტის (pr@naec.ge; registracion@naec.ge; info@naec.ge) ან ცხელი ხაზის (247-33-33) ოპერატორების დახმარებით. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საგანგებო რეჟიმში მუშაობს, „ცხელ პერიოდში„ დაახლოებით 10 000-მდე სატელეფონო ზარი და 25 000-მდე შეკითხვა შემოდის. როგორც სპეციალიტები ამბობენ, ხშირად აპლიკანტები (აბიტურიენტები, მაგისტრები, პედაგოგოები, სტუდენტები) ინსტრუქციას არ ეცნობიან და შეცდომებსაც ამიტომ უშვებენ.



სპეციალურად ჩვენი მკითხველისათვის მოკლე ინსტრუქცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელისაგან. დავით ჭანკოტაძე ყურადღებას აბიტურიენტების უყურადღებობაზე ამახვილებს:

– ბატონო დავით, პირველი და მთავარი კითხვა: სად და რობორ უნდა ბაირონ მსურველებმა რეგისტრაცია?

– წინა წლების მსგავსად, აბიტურიენტები რეგისტრაციას ინტერნეტით გადიან. ინტერნეტით რეგისტრაციას აბიტურიენტი გადის ვებგვერდზე www.naec.ge ან online.naec.ge. ამისათვის მას უნდა ჰქონდეს (ან უნდა შექმნას) ელექტრონული ფოსტის მისამართი. მითითებულ მისამართზე შესვლის შემდეგ აბიტურიენტი სპეციალურ ველში უთითებს ელექტრონულ ფოსტას, რომელზეც მიიღებს პაროლს, მომხმარებლის სახელით (ელფოსტის მისამართი) და მიღებული პაროლით აბიტურიენტი შედის რეგისტრაციის პროგრამაში. სისტემა ავტომატურად ამოწმებს ინფორმაციას გადახდის შესახებ, რის შემდეგაც უნდა დაიწყოს შემდეგი ველების შევსება: მოსწავლის სტატუსი, სად გინდათ მიიღოთ საგამოცდო ბარათი (თუ აბიტურიენტს დამთავრებული აქვს სკოლა), საგამოცდო ქალაქი, საკონტაქტო ტელეფონი და მშობლიური ენა. აბიტურიენტმა უნდა მონიშნოს იმდენი გამოცდა, რამდენის ჩაბარების საფასურიც აქვს გადახდილი.

– ეს არის ის მონაცემები, რომელთა შეცვლასაც აბიტურიენტი ერთი თვის შემდეგ ვეღარ შეძლებს?

– დიახ, მართალი ბრძანდებით. ეს ინფორმაცია რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ვეღარ და აღარ შეიცვლება, მაგრამ უკვე მეორე წელია აბიტურიენტებს აქვთ უნიკალური შანსი სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებამდე სასწავლო პროგრამების რეიტინგულ ჩამონათვალში შეიტანონ ცვლილება.

– რით უნდა იხელმძღვანელონ რეიტინგებული სიის ბაქეთების დროს?

– პირველ რიგში საკუთარი სურვილით. სიახლე, რომელზეც ჩვენ ვისუბრეთ იმითიც არის უნიკალური, რომ აბიტურიენტს რეალისტური არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს. მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარი ქულების გაგების შემდეგ მას კიდევ ერთხელ შეუძლია არჩევანის გააკეთება. აქვე მინდა კიდევ ერთი გაფრთხილება მივცე მათ: ყველა ცვლილების დადასტურება უნდა მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. თუ ვერ მიიღო აღნიშნული დადასტურება, სავარაუდოდ, არ აქვს დასრულებული ცვლილებების განხორციელება (მაგ., არ დააჭირა შენახვის ღილაკს).

– კიდევ რა ბაითვალისწინონ აპლიკანტებმა?

– არ გაანდოთ სხვას ელექტრონული ფოსტით მიღებული პაროლი, მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი სარეგისტრაციო ანკეტაში მითითებული მონაცემების სისწორესა და შემდგომ მასში განხორციელებულ ცვლილებებზე. შეეცადეთ ხშირად გადაამოწმოთ თქვენი მონაცემები;

გამოცდა ცხოვრების მხოლოდ ერთი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია. რაღაცის დასასრული, კი ყოველთვის რაღაც ახლის დასაწყისია! ასე რომ, დაიცავით ინსტრუქცია და იყავი ყურადღებით! წარმატებას გისურვებთ!